„საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილი ცვლილებების საბოლოო რედაქცია:

მუხლი 7.

პუნქტი 1 - „საკრებულოს მორიგი სხდომები, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, თვეში ერთხელ მაინც“.

მუხლი 16.

„ 1. საკრებულოს წევრს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან უნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები.

2. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორიელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტის XVIII თავის 138-ე მუხლით“.

მუხლი 17.

პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი - „ საკრებულოს აპარატს ავალებს საკრებულოს სხდომაზე მოსაწვევ პირთა გაფრთხილებას“.

მუხლი 20.

პუნქტი 4 - „საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მისი წევრის დასწრება სავალდებულოა. საპატიო მიზეზით ბიუროს სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე ხმის იმავე უფლებით შეიძლება შეცვალოს უფლებამოსილმა პირმა, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე - მისმა მოადგილემ ან ფრაქციის წევრმა სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

მუხლი 24

პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი - „ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია“

მუხლი 47.

პუნქტი 1 - „საკრებულოს მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. საკრებელოს მორიგი სხდომისატვის საჭიროა საკრებულოს წევრის ოფიციალური მოწვევა“.

პუნქტი 3 - ამოღებულია

მუხლი 50.

პუნქტი 3 - „საკრებულოს კვარტალური გეგმიდან გამომდინარე საკრებულოს ბიურო საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების და ფრაქციების წარმომადგენელთა, აგრეთვე გამგებლის წინადადებების გათვალისწინებით განსაზღვრავს ყოველთვიური მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტს“

მუხლი 54.

პუნქტი 1 - „საკრებულოს სხდომა იწყება დილის 12:00 საათზე და მთავრდება 18.00 საათზე. შესვენება 14:00 საათიდან 15:00 საათამდე.“

მუხლი 108

პუნქტი 1 - „საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტი ქვეყნდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.chokhatauri.ge და საკრებულოს აპარატში მისი რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში თუ ამ რეგლამენტით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი.

პუნქტი 4 - „საკრებულოს ნორმატიული აქტი საკრებულოს დადგენილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) , ხოლო “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების შემდეგ ასევე, საკრებულოს ვებგვერდზე (www.chokhatauri.ge) .

პუნქტი 5 - საკრებულოს ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი - საკრებულოს განკარგულება და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება, აგრეთვე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს

კომისიების ორგანიზაციულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე (www.chokhatauri.ge) და გამგეობის შენობის პირველ სართულზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 117

პუნქტი 1 - „ საკრებულოს თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად კვირაში ორჯერ მაინც მოაწყონ მოქალაქეთა მიღება.

რეგლამენტს დაემატა:

თავი XIX

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

მუხლი 138. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

1. საკრებულოს წევრებს, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, აუნაზღაურდეთ საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და განისაზღვროს ზღვრული ოდენობა თვეში 400 (ოთხასი) ლარი.
2. საკრებულოს თითოეული წევრისთვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა, რომელიც დაკავშირებულია საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიღებასთან, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულო თავმჯდომარის დავალებების შესრულებასთან განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე.
3. საკრებულოს წევრს საკრებულოს ყოველი სხდომის გაცდენისათვის, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან დაექვითოს 20(ოცი) ლარი, ხოლო საკრებულოს კომისიის ყოველი სხდომის გაცდენისათვის 10 (ათი) ლარი.

მუხლი 139 - ამოღებულია

- პროექტში ყველგან ჩასწორდა და ამოღებული იქნა სიტყვა „მერი“.
- ჩანაწერი „გამგეობის რწმუნებული“ შეიცვალა „გამგებლის წარმომადგენელით“.
- ჩანაწერი „ტერიტორიული ორგანო“ შეიცვალა „ადმინისტრაციული ერთეულით“.
- გასწორდა ყველა ტექნიკური ხასიათის შეცდომა.